პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 14 (4008) 21

1970 წ. იანვარი. ოთხშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

სარეკორდო ნახტომი

ბაკურიანელმა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა კ. წაქაძემ ტრამპლინიდან ხტომაში სსრ კავშირის თასზე IV ადგილი მოიპოვა. მეორე დღეს, გასულ კვირას, იგი ბაკურიანის თასზე გამართულ ასპარეზობაში 107,5 მეტრზე გადახტა, ტრამპლინის რეკორდი დაამყარა და პირველობაც მოიგო.

სურათზე: წაქაძის სარეკორდო ნახტომი.

ფოტო ო. გელაშვილისა. (ჩვენი სპეც. კორ.).

ᲥᲐᲠᲚᲘ ᲥᲐᲜᲐᲚᲘ

● **ᲑᲠᲘᲣᲡᲔᲚᲘ,** 19 იანვარი. მოფარიკავეთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი მარტინის თასზე საბჭოთა ესპადრონისტების დიდი წარმატებით აღინიშნა. I ადგილი დაიკავა მინსკელმა ვ. სიდიაკმა, II — მოსკოველმა მ. რაკიტამ, III — მოსკოვის ოლქის წარმომადგენელმა ვ. ნაზლიმოვმა. საფარიკაო ბილიკზე სხვადასხვა ქვეყნის 150-ზე მეტი სპორტსმენი გამოვიდა.

● **ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ, 19 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ.** პოლონეთის დედაქალაქის განთავისუფლების 25 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ტურნირში ყველას აჯობა ხმლით ფარიკაობაში მსოფლიო ჩემპიონმა იუნიორთა შორის პ. რენსკიმ (მოსკოვი). 19 წლის სპორტსმენმა ყველა ორთაბრძოლა მოიგო, რაპირისტ ქალთა შორის გაიმარჯვა პალმა (შვეიცია).

● **ᲡᲢᲝᲙᲰᲝᲚᲜᲘ,** 19 იანვარი. ჰოკეისტთა მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების დირექტორატის აქ გამართულ სხდომაზე დამტკიცდა მონაწილეთა სია, თამაშების კალენდარი და საპროცედურო-ტექნიკური საკითხებიც გადაწყდა. როგორც ადრე ვიუწყებოდით, კანადის ნაკრებმა უარი თქვა ჩემპიონატში მონაწილეობაზე და მის ნაცვლად უმაღლესი ლიგის ექვსეულში შეყვანილია პოლონეთის ერთვული გუნდი. ნაკრებთა შემადგენლობაში 18-18 მინდვრის მოთამაშე და 2-2 მეკარეა. განაცხადების წარმოდგენის უკანასკნელი ვადაა 31 იანვარი, ხოლო საბოლოო შემადგენლობათა წარმოდგენისა — 13 მარტის საღამო. დამტკიცდა ექვსი ძირითადი მსაჯის სია, რომელშიც შევიდა ი. კარანდინი (სსრ კავშირი). დირექტორატის მუშაობაში მონაწილე ა. სტაროვოიტოვმა საკვლევის კორესპონდენტს განუცხადა, რომ სტოკჰოლმში სხდომა საქმიან ვითარებაში მიმდინარეობდა და გადაწყვეტილებებიც ერთხმად იქნა მიღებული. თამაშების კალენდრით ყველა ქვეყნის წარმომადგენლები კმაყოფილი დარჩნენ.

● **ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ,** 19 იანვარი. ადგილობრივი ზამთრის სტადიონის პრიზზე ტრადიციულ შეჯიბრებაში მსოფლიო რეკორდსმენმა, ლენინგრადელმა სტუდენტმა ნ. ჩიჟოვამ 18,36 მეტრზე ჭრა ბირთვი, რაც 8 სანტიმეტრით სჯობს მისივე მსოფლიო მიღწევას დახურული შენობებისთვის.



ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ

ტრამპლინიდან ხტომაში სსრ კავშირის თასზე გამართული ასპარეზობის დამთავრებისთანავე ქვეყნის ნაკრების წევრები, გორკელი გ. ნაპალკოვი, ლენინგრადელი ა. ჟეგლანოვი, მოსკოველები ა. ივანიკოვი და ვ. სმირნოვი მოსკოვს გაეშურნენ. იქ მათ ოლიმპიური ჩემპიონი ვ. ბელოუსოვი (ლენინგრადი) შეუერთდება და ყველანი კლინგენტალს (გდრ) გაემგზავრებიან, სადაც „მეგობრობის თასისთვის“ იბრძოლებენ.

სურათზე თქვენ ხედავთ ქვეყნის ნაკრების წევრებს (მარცხნიდან): ჟეგლანოვს, ივანიკოვს, ნაპალკოვსა და სმირნოვს.

ფოტო მ. ზარგარიანისა. (ჩვენი სპეც. კორ.).

კ. რევია — საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი

საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში მრავალი წლის მსაჯობისთვის ბაიდარებითა და კანონებით ნიჩბოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის წოდება მიანიჭა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ცურვის კათედრის გამგეს კ. რევიას.

კ. რევია ჩვენი რესპუბლიკის მეოცე წარმომადგენელია, რომელმაც ეს მაღალი წოდება დაიმსახურა. მანამდე საერთაშორისო არბიტრის წოდება მინიჭებული აქვთ: გ. ჩიკვაიძესა და კ. ზაუტაშვილს (ძალოსნობა), ნ. ჩხატარაშვილსა და კ. ყრუაშვილს (ფეხბურთი), ვ. ჯაფარიძეს, ლ. ძეკონსკის, ლ. ფალავანდიშვილსა და გ. აკოფოვს (კალათბურთი), ვ. ბალავაძეს, ვ. კუხიანიძესა და ვ. ილურიძეს (ჰოდაობა), ს. ჯიანსა და გ. ჭილაიას (ტანვარჯიში), გ. გაჩეჩილაძეს, ქ. გოგიავასა და ლ. წეროძეს (ჭადრაკი), გ. ნადარეიშვილს (საჭადრაკო კომპოზიცია), ტ. მესხს (ფარიკაობა) და ე. სანთელაძეს (ფრენბურთი).

10 ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ...

აჭარის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა და გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ რედაქციამ შეაჯამეს შედეგები თავიანთი საახალწლო ანკეტისა — „აჭარის 10 საუკეთესო სპორტსმენი 1969 წლის შედეგების მიხედვით“.

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღეს სპორტის მოყვარულებმა, სპეციალისტებმა, ჟურნალისტებმა.

აი, ეს ათეულიც:

1. რუხუდან სიხარულიძე (ტანვარჯიში), 2. სარქის სარხოიანი (მაგიდის ჩოგბურთი), 3. სერგო აბოიანი (მძლეოსნობა), 4. ომარ ნიშნიანიძე (ველოსპორტი), 5. ნიკოლოზ ზემლიანუხინი (ცურვა), 6. მარიამ გორბუნოვა (ცურვა), 7. ნოდარ სარხანიძე (სახანძრო-გამოყენებითი სპორტი), 8. თამარ ფედოსეენკოვა (მძლეოსნობა), 9. სიმელა პარფინიდი (მაგიდის ჩოგბურთი), 10. ვახტანგ ქორიძე (ფეხბურთი).

ო. მურვანიძე. (ჩვენი კორ.).

ბათუმი.

ᲝᲠᲘ ᲡᲔᲜᲡᲐᲪᲘᲐ ᲔᲠᲗ ᲓᲦᲔᲡ

ᲚᲘᲞᲔᲪᲙᲘ, 19 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. ცსკა-ს ფრენბურთელ ქალთა გუნდმა, რომელმაც წარმატებით აიღო საკავშირო ჩემპიონატის სტარტი, სწორედ ტურის დასკვნით მატჩში იწვნია მარცხის სიმწარე. ქვეყნის ჩემპიონებმა წაგება შეხვედრა მოსკოვის „ლოკომოტივთან“ (0:3) და ახლა დედაქალაქის დინამოელებთან იყოფენ ლიდერობას. ამ გუნდებს 6-6 ქულა აქვთ 7-დან.

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲐᲠᲪᲮᲘ

დღევანდელი დღის მეორე სენსაცია გახლდათ შარშანდელი ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორის — ლენინგრადის „ბურევესტნიკის“ წაგება ოდესელ თანაკლუბელებთან შეხვედრაში — 2:3. ახლა ლენინგრადელები 4-4 ქულით III-IV ადგილებს იყოფენ მოსკოველ რკინიგზელებთან.

შემდეგ მოდიან: კიევისა და ოდესის „ბურევესტნიკი“ (3-3 ქულა), ბაქოს „ნეფტიანიკი“ (2) და მინსკის „სპარტაკი“, რომელსაც არც ერთი მოგება არა აქვს.

ჩემპიონატის დამთავრებამდე გუნდები კიდევ ორ-ორჯერ უნდა შეხვდნენ ერთმანეთს.

20 ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ

◆ **ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ,** 20 იანვარი. სსრ კავშირის 1969 წლის ჩემპიონის წოდებაზე ტ. პეტროსიან — ლ. პოლუგაევსკის დამატებითი მატჩის პირველ პარტიას 20 იანვარს თეთრებით პოლუგაევსკი ითამაშებს. ეს გუშინ აქ გამართულმა კენჭისყრამ დაადგინა.

◆ **ᲡᲢᲝᲙᲰᲝᲚᲜᲘ,** 20 იანვარი. შვეიცის ციგურაობის ფედერაციამ ამ ქვეყნის ყველა მცხოვრები მიიწვია ყინულზე სასპარეზოდ. ყოველდღე, თებერვლის განმავლობაში, ფედერაცია შვეიცის მთელ ტერიტორიაზე შეჯიბრებებს მოაწყობს 1000 მეტრზე რბენაში. ვინც არც ერთ შეჯიბრებას არ გააცდენს, ფედერაციის სპეციალურ წიგნში იქნება შეტანილი და ჯილდოებსაც მიიღებს, მათ შორის, ციგურებს, 1971 წლის მსოფლიო ჩემპიონატის (შვეცია) ბილეთებს და ა. შ.

ᲠᲝᲡᲣ ᲥᲐᲓᲔᲗᲘ ᲓᲘᲓᲐᲯᲔᲓᲚᲘᲡ ᲒᲯᲘᲚ ᲘᲧᲝ...

ᲞᲐᲜᲚᲣᲠᲘ ᲠᲐᲡᲘᲡᲢᲔᲑᲡ

ახლახან პარიზში გაიმართა ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელი კომიტეტის სხდომა, რომელმაც განიხილა სამი საკითხი.

1. კომიტეტის წევრთა დიდმა უმრავლესობამ გადაწყვიტა, რომ ქვეყნები, რომლებიც რასობრივი სეგრეგაციის პოლიტიკას ატარებენ, არ დაიშვებიან დევისის თასის გათამაშებაში. საბოლოოდ ეს საკითხი გადაიჭრება ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის იმ წევრების საგანგებო სესიაზე, რომელთა ქვეყნებიც დევისის თასის გათამაშებაში მონაწილეობენ.

2. ძირითადად მიღებულ იქნა პროფესიონალი ჩოგბურთელების ჯგუფების ხელმძღვანელის ჯ. კრამერის წინადადება, რომ ეცნოთ 25 უმნიშვნელოვანესი პროფესიონალური ტურნირი და ამ ტურნირებში გამარჯვებულთათვის პრიზების ოდენობა დაეზუსტებინათ. არჩეულ იქნა სამკაციანი კომისია (მათ რიცხვშია თვით კრამერიც), რომელსაც დაევალა პროფესიონალთა ტურნირებში საუკეთესო ჩოგბურთელთათვის „დიდი პრიზის“ ზუსტი დებულების გამომუშავება. დებულების ტექსტი უნდა წარუდგინონ ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის კომიტეტის უახლოეს სხდომას.

3. წამოყენებულია წინადადება 1972 წლის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტს მიმართონ თხოვნით, რომ ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეტანილ იქნეს ჩოგბურთელთა საჩვენებელი ტურნირები. მაგრამ ჩოგბურთის დასავლეთგერმანული კავშირის წარმომადგენელმა ამ საკითხში უარყოფითი პოზიცია დაიკავა და წინადადება უარყვეს.

გარდა ამ ძირითადი საკითხებისა, კომიტეტის სხდომაზე გადაწყდა, რომ დანიელ მოთამაშეებს უ. ლეშლის და ი. ულრიჰს მიეცეთ ნასვერადპროფესიონალთა ლიცენზიები, ხოლო უიმბლდონის ტურნირში გამარჯვებულ ა. ჰეიდონ-ჯონსს (ინგლისი) და ავსტრალიელ ლ. ჰოადს დაუმტკიცდეთ მოყვარულთა რიგებში გადასვლა,

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურ კომიტეტში

ბევრნი სართ ხელმარჯვე ჩოგბურთელები?

საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიამ იმსჯელა რესპუბლიკაში ჩოგბურთის მდგომარეობისა და მისი განვითარების შემდგომ ღონისძიებათა შესახებ. კოლეგიაზე აღინიშნა, რომ საქართველოს ჩოგბურთელებმა ბოლო წლებში გარკვეული წარმატებები მოიპოვეს. საერთაშორისო ტურნირებში კარგად გამოვიდნენ ა. მეტრეველი, ა. ივანოვა და თ. კაკულია. შარშან ა. მეტრეველმა ერთეულთა თანრიგში მესამედ მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება, ხოლო თ. კაკულიამ პირველად იზეიმა გამარჯვება საკავშირო პირველობაში (შერეულ წყვილთა თანრიგში). „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭოს ნაკრებმა სამჯერ დაისაკუთრა პირველობა ცენტრალური საბჭოს საკავშირო შეჯიბრებაში, ხოლო თბილისის „ბურევესტნიკის“ ვაჟთა ნაკრები თასის შარშანდელი საკავშირო გათამაშების ფინალში გავიდა... 1969 წელს სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებში (მოზრდილები და ახალგაზრდები) ჩვენი რესპუბლიკის 9 წარმომადგენელი შედიოდა (ა. მეტრეველი, თ. კაკულია, ა. ივანოვა, რ. აბჟანდაძე; ნ. თუხარელი, ტ. ფარსადანოვა, ვ. პერეგუდოვი, ვ. აბაშკინი და ო. პაპაიანი).

მიუხედავად ამ წარმატებებისა, შესამჩნევია მთელი რიგი ნაკლოვანებებიც, რომლებიც საგრძნობლად აფერხებენ რესპუბლიკაში ჩოგბურთის განვითარებას.

გაზეთ „კომუნისტის“ 1969 წლის 7 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებული იყო პროფესორ ვ. ლეკიშვილის წერილი „ხელმარჯვედ სცემდეთ ჩოგანსა“, რომელშიც ავტორმა დროულად დააყენა რესპუბლიკაში ჩოგბურთის მასობრივად განვითარების აუცილებლობის საკითხი. ჩვენში ჩოგბურთის წამორჩენის მიზეზებად ავტორი სამართლიანად მიიჩნევს, რომ რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში მცირეა საჩოგბურთო კორტების ქსელი (მხოლოდ 121). არსებული კორტები ძალიან გადატვირთულია. თბილისშიც კი არა გვაქვს დახურული კორტები ზამთარში სავარჯიშოდ და ა. შ.

კოლეგიაზე აღინიშნა ისიც, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ჩოგბურთი მასობრიობის მხრივ ერთობ წამორჩენა სპორტის სხვა სახეობებს. 1966-68 წლებში რესპუბლიკის ჩოგბურთელთა რიცხვი მხოლოდ 450 კაცით გაიზარდა.

ჩოგბურთი დანერგილია მხოლოდ აფხაზეთში, აჭარაში, თბილისში, ქუთაისში, ფოთში, რუსთავსა და გარდაბანში. იმის გამო, რომ კორტები არა აქვთ, ამ სახეობის გავრცელებისთვის არავითარი მუშაობა არ ტარდება სამხრეთ ოსეთში. ქუთაისელები უკვე ვეღარ თამაშობენ ჩოგბურთს, ვინაიდან ქალაქში არსებული კორტები დანგრიეს და ახალი ჯერ არ აუგიათ. მრავალი წელია ოფიციალურად აღიარებული და ფაქტიურად გამოუყენებელია ბათუმის „სპარტაკის“ კორტები, რომლებიც რესპუბლიკაში მეორეა მნიშვნელობით. გასასვლელები და საშხაპეები გამოუსადეგარია, სასწავლო-სპორტული მუშაობა თვითდინებაზეა მიშვებული. „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭო კი ჩოგბურთის სტადიონზე მუშაობის გარდაქმნისთვის არავითარ ღონისძიებას არ მიმართავს.

რაც შეეხებათ სოხუმის, რუსთავის, ფოთისა და გორის სპორტულ ორგანიზაციებს, ისინი ნაკლებად ზრუნავენ მოედნების მშენებლობაზე, თუმცა მოქმედი ჩოგბურთელები ჰყავთ.

კორტების მწვავე უკმარობა იგრძნობა თბილისში. 1957 წლის საკავშირო ჩემპიონატის დღეებში ჩვენს დედაქალაქში 38 კორტი იყო, ახლა კი 26 დარჩა. ესე იგი, ამ ხნის განმავლობაში 12 კორტი გაუქმდა.

მიუხედავად ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებისა მარჯანიშვილის ქუჩაზე დახურული კორტების მშენებლობის დაწყების თაობაზე, ამ მხრივ ჯერ კიდევ არაფერი გაკეთებულა.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობს „ლოკომოტივის“ რესპუბლიკური საბჭო. აქ ჩოგბურთელების ძალიან პატარა კონტინგენტი ჰყავთ და საერთოდ არ გააჩნიათ საკუთარი ბაზა. ჩოგბურთელებთან მუშაობა ჩაშლამდეა მიყვანილი „სპარტაკის“ რესპუბლიკურ საბჭოში.

გააუარესა მუშაობა „დინამომ“, რომელსაც ჩოგბურთელთა ჯგუფები მხოლოდ თბილისში ჰყავს. ამ საზოგადოების საბჭო არ ზრუნავს საკუთარი ჩოგბურთის სტადიონის გაფართოებისთვის. „დინამოს“ ქალთა ნაკრები არადამაკმაყოფილებლად გამოვიდა სსრ კავშირის თასის გათამაშებაში: მერვედფინალური მატჩი წააგო ალმა-ათის „ლოკომოტივთან“.

ჩოგბურთის ფართოდ დანერგვისთვის, ქალაქებსა და რაიონებში კორტების მოწყობისთვის არც „განთიადის“ ცენტრალური საბჭო ზრუნავს.

საკუთარი ბაზების შექმნისთვის თავს არ იწუხებენ „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭო, საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო.

გაუარესდა მუშაობა მოზარდ ჩოგბურთელებთან. საქართველოს განათლების სამინისტროს ნაკრებმა მოსწავლეთა 1969 წლის საკავშირო სპარტაკიადაში პოზიციები დათმო და მხოლოდ XI ადგილი დაიკავა. ეს მარცხი იმის შედეგია, რომ წლების მაძიელზე მოზარდებთან მუშაობა თანდათან ჩაშლამდე მივიდა: იკლო მწვრთნელთა მუშაობის ხარისხმა, კონტროლმა, მომთხოვნელობამ, შეიმჩნეოდა მწვრთნელთა გაუმართლებელი შეთავსებები.

წინა წლებში სსრ კავშირის ნაკრები გუნდებისთვის (მოზრდილების, ახალგაზრდებისა და მოზარდების) კანდიდატებს ამზადებდნენ ვ. სერებრენიკოვი, ა. ხანგულიანი, მ. კლდიაშვილი და მ. ქობალია. ახლა ამ გუნდებში მხოლოდ ორი მწვრთნელის ა. ხანგულიანისა (3 კაცი) და მ. კლდიაშვილის (6 კაცი) აღზრდილები შედიან.

მუშაობის მრავალი წლის მანძილზე მაღალკვალიფიციური ჩოგბურთელები ვერ მოამზადეს თბილისელმა მწვრთნელებმა თ. ჩიმერინამ (საქართველოს განათლების სამინისტრო), კ. მინაევამ და გ. ჩახუნაშვილმა („დინამო“), დ. შალამბერიძემ („ლოკომოტივი“), გ. ღარიბაშვილმა და ა. ვერულავამ („განთიადი“). შეასუსტეს მოზარდებთან მუშაობა რესპუბლიკის წამყვანმა მწვრთნელებმა ა. ხანგულიანმა, მ. კლდიაშვილმა, მ. ქობალიამ (თბილისის განათლების განყოფილება), ა. და ი. ელერდაშვილებმა („ბურევესტნიკი“).

უარესი მდგომარეობაა რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებში. სწორედ ამის გამოა, რომ რესპუბლიკის მოზრდილთა ნაკრები მხოლოდ თბილისელებით კომპლექტდება, ახალგაზრდულ და მოზარდთა ნაკრებ გუნდებში კი შარშან მხოლოდ ქუთაისისა და აფხაზეთის თითო წარმომადგენელი იყო.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შემოხვევითი არაა, რომ 1969 წელს საქართველოს ნაკრებმა საკავშირო გუნდურ ჩემპიონატში მხოლოდ IV ადგილი დაიკავა. ეს იმ დროს, როცა სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადაში ჩვენი ჩოგბურთელები II საპრიზო ადგილზე გავიდნენ.

კოლეგიამ მიიღო ვრცელი და კონკრეტული დადგენილება, დაისახა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომელთა ცხოვრებაში გატარებამ დიდი სამსახური უნდა გაუწიოს რესპუბლიკაში ჩოგბურთელთა შემდგომ დაოსტატებასა და ახალი ცვლის მომზადებას.

ჩვენს ქალაქებსა და რაიონებში

მოძრაობის მაცოცხლებელი ძალა

ხლებმა ვერ დაამძიმეს

ოცა ნ. კილპიო საციგურაოსკენ ან სპორტული დარბაზისკენ, აუზისკენ ან სალაშქროდ მიიჩქარის, ვერავინ იფიქრებს, ამ ქალმა 70 წელს გადააბიჯაო. მის წლებში ზოგიერთი სტადიონზე თამაშის საყურებლადაც აღარ დადის, ის კი თავისი პირადი მაგალითით გვიჩვენებს, რა ცხოველმყოფელია მოძრაობის ძალა.

ნ. კილპიო პერმის პედაგოგიურ სასწავლებელში ფიზაღზრდის მეთოდიკას ასწავლის, ხელმძღვანელობს ცურვის სექციას და ჯანმრთელობის ჯგუფების მეცადინეობას. ქალაქში ბევრი როდი მოიძებნება ახალგაზრდა მოცურავე, რომელიც მასთან გრძელ დისტანციებზე შეჯიბრებას გაბედავს. კილპიოს კარგად იცნობენ საბჭოთა კავშირის ბევრი ტურისტული ბაზის მუშაკები. იგი ყოველ ზაფხულს მოგზაურობს თავის აღსაზრდელებთან ერთად. კილპიოს ზურგჩანთა წლებმა ვერ დაამძიმეს.

ნ. კილპიო უკვე ნახევარი საუკუნეა ეწევა მასწავლებლობის ჭაპანს და დღემდე ფიზიკური აღზრდის ათასობით სპეციალისტი მოამზადა. იგი ურალში პირველი მასწავლებელი იყო, რომელიც კ. უშინსკის მედლით დაჯილდოვდა. კილპიო ერთ-ერთი თანაავტორია სასწავლო სახელმძღვანელოსი „ფიზიკური აღზრდის თეორია“. იგი ავტორია წიგნისა „80 თამაში საბავშვო ბაღებისთვის“, რომელიც სამ წელიწადში ორჯერ გამოიცა.

შემთხვევითი როდია, რომ ამ რამდენიმე წლის წინ კილპიო „ფიზიკური კულტურის წარჩინებულის“ საპატიო ნიშნით დაჯილდოვეს.

ნ. პაშინი.

პერმი.



სპორტული ძმობის რელიკვია

უკრაინის სპორტული დიდების მუზეუმის ფონდებში გამოჩნდა საინტერესო ფოტოდოკუმენტი, რომელიც გვაგონებს წლებს, როცა საბჭოთა და უცხოელ მუშა-სპორტსმენებს შორის ინტერნაციონალურ ძმობას დაედო სათავე.

... სურათზე აღბეჭდილია ფეხბურთის კარი. იქვე ფრიალებს წითელი დროშა, რომელთანაც საპატიო ყარაული დგას. ქვევით წარწერაა: „დრეზდენი, 1925 წელი, ხარკოვისა და დრეზდენის მუშა ფეხბურთელთა გუნდების შეხვედრა“.

ხარკოველი სპორტსმენები გერმანიაში 44 წლის წინ ჩავიდნენ. მათ მონაწილეობა მიიღეს ფეხბურთელთა მატჩებში, რომლებიც დრეზდენის სპორტულმა კავშირმა მოაწყო. ამ კავშირის ფეხბურთელები მაშინ გერმანიის ჩემპიონები იყვნენ.

საბჭოთა ფეხბურთელებმა იმ წელიწადს გადაწყვიტეს გერმანიაში არალეგალურად ჩაეტანათ წითელი დროშა და შეხვედრის დროს გადაეცათ იგი გერმანელი კლასობრივი ძმებისთვის. ეს სახიფათო მისია შეასრულა დელეგაციის ხელმძღვანელმა, კომკავშირის ხარკოვის საგუბერნიო კომიტეტის მდივანმა ი. ჟოლდაკმა, რომელიც ამავე დროს ფიზკულტურის საბჭოს თავმჯდომარეც იყო.

დრეზდენის მუშებმა საბჭოთა ქვეყნის წარგზავნილებს გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს. იქ ჩავიდა ათასობით ბერლინელიც. სტუმრები ხელში ატაცებული ჩამოიყვანეს ვაგონიდან. აქვე გაიმართა მიტინგი, სადაც ლაპარაკი იყო გერმანიისა და სსრ კავშირის მუშათა დიდ ინტერნაციონალურ ერთიანობაზე. როცა გუნდები მინდორზე გამოვიდნენ, ჟოლდაკმა უბეში დამალული დროშა ამოიღო და მაყურებელთა ტაშში აღმართა იგი.

დრეზდენელ ფეხბურთელებთან ორი მატჩის შემდეგ (0:1, 3:1) წითელი სპორტული ინტერნაციონალის სამდივნომ ხარკოვის ფეხბურთელებს „სპორტინტერის პირველი გუნდის“ სახელი მიანიჭა.

მაგრამ დროშასთან დაკავშირებული ისტორია ამით არ დამთავრებულა. 1965 წელს ი. ჟოლდაკი, რომელიც 1929 წელს წითელი სპორტული ინტერნაციონალის გენერალურ მდივნად აირჩიეს, ბერლინში მიიწვიეს. გერმანელმა მეგობრებმა მას გადასცეს ის სამახსოვრო ალამი წარწერით: „გაუმარჯოს მშრომელთა სპორტული მოძრაობის ერთიანობას მთელს მსოფლიოში!“

აღმოჩნდა, რომ გერმანელ მუშებს ფაშიზმის იმ მრისხანე წლებში სიცოცხლის ფასად შეუნახავთ ინტერნაციონალური ძმობის ეს სიმბოლო. დრეზდენში კი, იმ ადგილზე, სადაც 1925 წელს ფეხბურთელთა პირველი ინტერნაციონალური მატჩი შედგა, ძეგლი დაუდგამთ.

იმ დაუვიწყარ დღეთა გმირი ჟოლდაკი, რომელიც ახლა მოსკოვში ცხოვრობს, მუშათა სპორტული ინტერნაციონალური მოძრაობის გახვითარებაში შეტანილი დიდი წვლილისთვის დაჯილდოებულია გდრ-ის სპატიო ჯილდოთი — გამოჩენილი გერმანელი სპორტსმენი ანტიფაშისტის ე. გრუბეს სახელობის მედლით.

ს. ბელოვი,

(უკრაინის დეპეშათა სააგენტოს კორ.).

კიევი.



იალგუზის ფერდობზე

იალგუზის ფერდობზე დამთავრდა ახალი ქანქარიანი საბაგირო გზის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები. ჯიხურები, რომელთაგან თითოეული 32 კაცს იტევს, 6 წუთში აიყვანენ სამთომოთხილამურეებს 3000 მეტრის სიმაღლეზე. მგზავრებს არავითარი საფრთხე არ ემუქრებათ. თუ ქარის სისწრაფე წამში 14 მეტრს გადააჭარბებს, მოძრაობა ავტომატურად წყდება. გათვალისწინებულია სათადარიგო და მაშველი მოწყობილობები.

სურათზე: ახალი საბაგირო გზის გამოცდის მომენტი.

ფოტო ვ. კოზლოვისა (აასი).

მასობრივი სპარტაკიადა

ჩიმკენტის ცემენტის ქარხანა ყაზახეთში განთქმულია ავტომატიკით, შრომის კომპლექსური მექანიზაციით და... სპორტული კოლექტივით.

საწარმოს 11 წელი შეუსრულდა და ამდენივე სექციასაც ითვლის. ახლა ქარხნის თითქმის ყოველი მეორე მუშა და სპეციალისტი სპორტული კოლექტივის წევრია. ჩიმკენტელები კარგად იცნობენ ფეხბურთელს, ქარხნის მუშა ა. ჩეხნოკოვს, ბადმინტონისტს, ტექნიკოს გ. შაპრანს და ამ საწარმოს ბევრ სხვა სპორტსმენს.

ქარხნის სპარტაკიადაში მონაწილეობის სურვილი, რომელიც რესპუბლიკის დაარსების 50 წლისთავს ეძღვნება, 600-ზე მეტმა ჭაბუკმა და ქალიშვილმა, აგრეთვე, მათზე უფროსმა მუშამ და მოსამსახურემ გამოთქვა. სპარტაკიადისთვის გაცხოველებით ემზადებიან. საიუბილეო ღონისძიებათა ნაწილი უკვე განხორციელდა. მაგალითად, ქარხნის შვიდმა საუკეთესო მოტოციკლისტმა უკვე მოაწყო მრავალდღიანი გადარბენა.

ქარხანა ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებას ხელს უწყობს საშუფო საბჭოთა მეურნეობებსა და სკოლებშიც. კერძოდ, ამ საწარმოს მუშა-მოსამსახურეებმა მოაწყვეს რამდენიმე სპორტული მოედანი კაზგურტის სკოლაში, ჩამოაყალიბეს იქ რამდენიმე სექცია.

ა. რობმისტროვსკი.

(ყაზახეთის დეპეშათა სააგენტოს კორ.).

ჩიმკენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგარეჯოს საბავშვო სპორტული სკოლის ჭიდაობის, ფეხბურთისა და მძლეოსნობის სექციებში 280 მოსწავლეა გაერთიანებული. საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ი. მეკოკიშვილის, მწვრთნელების ვ. ოდიკაძის, ო. მენაბდიშვილისა და მ. ელერდაშვილის მონდომებული შრომით საგარეჯოელი მოსწავლეები წარმატებით ასპარეზობენ ზონალურ და რესპუბლიკურ შეჯიბრებებში.

ს ურ ა თ ზ ე: სპორტსკოლის აღსაზრდელი ფეხბურთელები წვრთნის დროს.

ფოტო ი. იუნაევისა.
(ჩვენი სპეც. კორ.).

სსრ კავშირის XXXVII ჩემპიონატი

პირველი წრე ციფრებში

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
„ჟალგირისი“ (კაუნასი)	11	8	3	843—812	8

	მატჩი	წუთი	ჯარიმა	ქულა
1. პაულაუსკასი	11	320	34	217
2. ბუდნიკასი	11	311	46	136
3. ვენსბერგასი	11	245	48	97
4. სარპალიუსი	11	250	38	90
5. უუკაუსკასი	11	204	33	75
6. პატაკაუსკასი	11	176	27	58
7. გედრაიტისი	11	311	36	46
8. შიდლაუსკასი	10	124	34	42
9. ლინკიავიჩუსი	9	87	17	36
10. ბიშლისი	7	68	15	13
11. რუზგასი	3	57	6	13
12. ვენცლოვასი	4	38	1	7
13. ჩუპკოვასი	2	21	3	5
14. იურკშტაისი	3	12	8	5
15. რიბკუსი	1	4	0	3

„ჟალგირისი“ (III ადგილი პირველი წრის შემდეგ) V ადგილზეა „გატანილი“ ქულებით (843) და მეექვსეზე — გატანილისა და მიღებულის სხვაობით (+31). ლიტველმა კალათბურთელებმა შინ 6 მატჩი ჩაატარეს და 4 მოიგეს (დამარცხდნენ ცსკა-სა და „კალევთან“). სტუმრად გამართულ ხუთ შეხვედრაში 4 ქულა აიღეს. „ჟალგირისი“ ყოველ მატჩს საშუალოდ ასეთი შედეგით ამთავრებდა: 77:74.

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“ (ლენინგრადი)	11	7	4	852—787	7

	მატჩი	წუთი	ჯარიმა	ქულა
1. ა. ბელოვი	11	312	49	172
2. ბიკოვი	11	288	26	160
3. ფიოდოროვი	11	289	31	95
4. ვოლჩკოვი	11	254	35	88
5. იუმაშევი	11	207	32	88
6. შტუკინი	10	154	45	77
7. ივანოვი	10	184	35	72
8. ბოლშაკოვი	11	258	39	46
9. სკვორცოვი	8	67	18	17
10. კრიოშჩოკოვი	8	110	29	14
11. არზამასკოვი	4	41	9	13
12. როფინი	1	15	5	8
13. მოკეევი	4	31	9	2

ნწვისპირელი კალათბურთელები (IV ადგილი) „გატანილი“ ქულებით IV ადგილზე არიან (852), ხოლო გატანილისა და მიღებულის სხვაობით (+65)—III. სპარტაკელებმა შინ 5 მატჩი ჩაატარეს და 4 მოიგეს (დამარცხდნენ „ჟალგირისთან“). გაცილებით უარესად ითამაშეს მათ სტუმრად— 6 ქულიდან 3. „სპარტაკი“ ყოველ მატჩს საშუალოდ ასეთი შედეგით ამთავრებდა: 78:71.

კვლავაც წარმატებებს ვუსურვებთ

საუკეთესო სტუდენტურ ნამუშევართა დახურულ საკავშირო კონკურსში, რომელიც ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს ეძღვნებოდა, დიდი წარმატება მოიპოვა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა სერგეი ალიხანოვმა. ნამუშევრისთვის — „თავდასხმითი დარტყმის ანალიზი ფრენბურთში და ბურთზე დარტყმის მექანიკური ელემენტების განსაზღვრის მეთოდიკა სპორტულ თამაშებში“ მან მიიღო მედალი „საუკეთესო სამეცნიერო სტუდენტური ნამუშევრისთვის“.

როგორც საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს წერილშია აღნიშნული, საქართველოდან ამ კონკურსის მხოლოდ ორმა მონაწილემ მიიღო ჯილდო და მათგან ერთი ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენელი იყო. ეს დიდი წარმატებაა ამ ინსტიტუტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებისა, რომლის წევრიც ს. ალიხანოვი.

წარმატება კანონზომიერად მოვიდა. ს. ალიხანოვი ჯერ კიდევ 1964 წელს გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი ფრენბურთში, როცა თბილისის ჭაბუკ ფრენბურთელთა ნაკრების წევრი იყო. შემდეგ მან ფიზკულტურის ინსტიტუტში გააგრძელა სწავლა. აქ მუხლის სახსარი დაუზიანდა, რაც, სხვათა შორის, მისი პირველი სამეცნიერო კვლევის საგნად იქცა. ეს იყო „მუხლის ტრავმების მიზეზები ფრენბურთის თამაშის დროს“. ნამუშევარი 1967 წელს ომსკში სტუდენტთა საკავშირო კონფერენციაზე სიგელითა და საჩუქრით დაჯილდოვდა.

შემდეგ დაიწყო დარტყმის მექანიზმთან დაკავშირებული კვლევა. სერგეიმ შექმნა ორიგინალური ხელსაწყო, რომლის მეშვეობითაც პირველად მან შეძლო გამოეკვლია უშუალოდ ბურთზე დარტყმის მექანიკური ელემენტები სპორტულ თამაშებში. ამ მეორე ნამუშევარმა 1968 წელს კაუნასში, სტუდენტთა მორიგ საკავშირო კონფერენციაზე, პირველი პრემია მიიღო.

ამ ორი თემის გაერთიანება იყო ნამუშევარი, რომელმაც ლენინის იუბილესადმი მიძღვნილ კონკურსში უმაღლესი შეფასება დაიმსახურა.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის საბჭოს რეკომენდაციით ს. ალიხანოვი მოსკოვის ფიზკულტურის ცენტრალური ინსტიტუტის ასპირანტურაში გაიგზავნა, სადაც მისაღები გამოცდების მაგიერ პირდაპირ საკანდიდატო მინიმუმი ჩააბარა და ყველა გამოცდაზე ფრიადი დაიმსახურა.

სერგეი სერიოზულად გატაცებულია და მუშაობს პოეზიაშიც. მისი ლექსები უკვე ბევრჯერ დაიბეჭდა პრესაში.

ამუამად ს. ალიხანოვი საბჭოთა არმიის რიგითი ჯარისკაცია.

სულითა და გულით ვულოცავთ ნიჭიერ ახალგაზრდა მეცნიერს გამარჯვებას და კვლავაც დიდ წარმატებას ვუსურვებთ.

ა. მხეიძე.

შეჯიბრება, მსაჯი, მონაწილე

დაზუსტებას საჭიროებს

შარშან გორში, სსრ კავშირის ქალთა საბადრაკო ჩემპიონატში, უაღრესად დაძაბულად მიმდინარეობდა ნ. ალექსანდრია — ვ. ბორისენკოს შეხვედრა. ქართველი მოჭადრაკე თითქმის ბოლომდე მოგების შანსს ინარჩუნებდა, მაგრამ ცაიტნოტში ბორისენკომ კარგად გამოიყენა მისი უზუსტობანი და კონტრთამაში შექმნა. თამაშის დროც ამოიწურა. პარტია გადაიდო, ბორისენკოს სვლა უნდა ჩაეწერა.

— ყიმს გთავაზობთ, — უთხრა მან ალექსანდრიას.

— კეთილი, ოღონდ ერთი წუთით მომიტევეთ, — უპასუხა ნანამ და ჩემთან მოვიდა (მთავარი მსაჯის მოადგილე გახლდით).

— არ შეიძლება წინადადებაზე ხვალ ვუპასუხო? — მკითხა მან.

სსრ კავშირის ჭადრაკის კოდექსში ნათქვამია, რომ შემოთავაზებული ყაიმი ძალაში რჩება, სანამ მეტოქე მორიგ სვლას არ გააკეთებს. მიუხედავად ამისა, ნანას შეკითხვა სრულიად სამართლიანი იყო, მას თამამად შეეძლო ეთქვა: პასუხს ხვალ მოგახსენებთო, მაგრამ ამით დაიტოვებდა უფლებას, რომ შინ გულდასმით გაეანალიზებინა პარტია და მერე გადაეწყვიტა, მიეღო თუ არა წინადადება.

ამ შემთხვევას არც ახალი კოდექსი ითვალისწინებს, რაც არ არის სწორი. მეტოქენი უხერხულ მდგომარეობაში რომ არ ჩაგვეყენებინა, ნანას ვურჩევ ბორისენკოსთვის მაშინვე გაეცა პასუხი. ალექსანდრიამ მიიღო ყაიმი, რომლის მართებულობა ანალიზმაც ცხადყო.

იქნებ სჯობდეს, კოდექსში გაკეთდეს ასეთი შენიშვნა: „როგორც გამონაკლისი, პარტიის გადადებისას შემოთავაზებულ ყაიმს მეტოქემ მაშინვე უნდა უპასუხოს „ჰო“ ან „არა“.

მსაჯსაც გაეღიმა

ეს ამბავი ვ. გოგლიძის მემორიალში მოხდა. დიდოსტატმა ა. სუეტინმა საერთაშორისო ოსტატ რ. ფუქსს ლაზიერი შესწირა ორ ფიგურაში და პაიკების ხელსაყრელი განლაგების მეოხებით პოზიციური უპირატესობაც მოიპოვა.

უეცრად მოისმა სუეტინის გაბრაზებული შეძახილი:

— დასვით თქვენი ლაზიერი!

ფუქსი, რომელსაც ხელში თავისი ლაზიერი ეჭირა, სვლის გაკეთებას აყოვნებდა. სუეტინის მოთხოვნის პასუხად მან ლაზიერი... ჯიბეში ჩაიდო და ჯიუტი ბალღივით გაიბუტა.

— დასვით ლაზიერი თავის ადგილზე! — ისევ გაისმა სუეტინის ხმა. მაგრამ ახლა მის სახეს ღიმილი მოეფინა, ფუქსი კი გატრუნული იჯდა.

მემორიალის მსაჯი, მოსკოველი ბ. ბარანოვი, გაიგონა თუ არა ხმამაღალი შეძახილი, მყისვე აქ გაჩნდა. როცა შეიტყო სუეტინის აფორიაქების მიზეზი, ღიმილი ვერც მან შეიკავა. რა ეღონა? თავაზიანად სთხოვა ფუქსს დასვა ლაზიერი ოავის ადგილზე და ისე მოეფიქრებინა სვლა.

ფუქსი მაინც ჯიუტობდა: თურმე დავიწყებოდა სად იდგა ლაზიერი და ეშინოდა, სხვა უჯრაზე არ დავდოო. ამას ხომ სვლად ჩაუთვლიდნენ.

ბოლოს გერმანელმა მოჭადრაკემ ლაზიერიც ისე ითამაშა, როგორც სურდა, მაგრამ პარტია მაინც წააგო.

ასეა: სანამ სვლას კარგად არ მოფიქრებთ, ფიგურას ხელს ნუ მოკიდებთ.

თ. გიორგაძე.

საჭადრაკო ბათუმი

ნორჩ მოჭადრაკეთა საახალწლო „ელვისებურ ტურნირში“ 14 მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა. საუცხოოდ ითამაშა მე-10 საშუალო სკოლის მეცხრეკლასელმა, პირველთანრიგოსანმა ფ. მელქონიანმა — 11 ქულა. II-III ადგილები გაიყვეს პირველთანრიგოსნებმა შ. ჟღენტმა (მე-2 სკოლა) და ვ. ბერიძემ (მე-17 სკოლა) — 9,5-9,5.

გამარჯვებულებს აჭარის განათლების სამინისტროს სიგელები გადაეცათ.

* * *

ამას წინათ ბათუმს ეწვივნენ სსრ კავშირის ქალთა 29-ე საჭადრაკო ჩემპიონატის მონაწილე, თბილისის ჩემპიონი თ. ხუციშვილი და მისი მწვრთნელი, ოსტატობის კანდიდატი გ. მაჭავარიანი. სტუმრებმა ერთდროული თამაშის სეანსები (თვითეულმა 11 დაფაზე) ჩაატარეს.

მაჭავარიანმა 10 პარტია მოიგო და 1 (მოსწავლე გ. დავიდიანთან) ყაიმით დამთავრა.

* * *

პიონერთა პარკის ნორჩ მოჭადრაკეთა გუნდი „ციცინათელა“ ამ დღეებში სამტრედიას ჩავიდა 20 დაფაზე ამხანაგური მატჩის სათამაშოდ. ბათუმელებს მასპინძლები გულთბილად შეხვდნენ. მატჩი ორ წრედ გაიმართა. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 24.16. მათ გადაეცათ სამტრედიის კომკავშირის რაიკომის სამახსოვრო თასი.

გაზაფხულზე სამტრედიელები ბათუმელ ნორჩ მოჭადრაკეთა სტუმრები იქნებიან.

გ. ჭანტურია,
ოსტატობის კანდიდატი.

5 საათი არ ეყოთ

ფინიშის მოახლოვებასთან ერთად საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა პირველობის ნახევარფინალში ბრძოლა უფრო მწვავდება. ეს ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში გუშინწინ გამართულმა IV ტურმაც დაადასტურა.

დიდი ინტერესი გამოიწვია ლიდერების ა. რაზოვსკისა (ქუთაისი) და ვ. ბადალიანის (მარნეული) შეხვედრამ. უფრო გამოცდილმა ქუთაისელმა მოჭადრაკემ შეუპოვრად წარმართა ბრძოლა და გაიმარჯვა.

მესამე ლიდერის ლ. ნეურონოვის (ბათუმი) პარტია ა. გაგუასთან (თბილისი) არ შედგა უკანასკნელის ავადმყოფობის გამო. სატურნირო ცხრილში კიდევ 8 ორთაბრძოლის შედეგი არ იქნა შეტანილი: ეს პარტიები დაუმთავრებელი დარჩა — მათ ავტორებს ბრძოლისთვის გამოყოფილი 5 საათი არ ეყოთ.

კარგად ითამაშა რუსთავის ჩემპიონმა გ. ბიბილაშვილმა, რომელმაც ა. სუბელიანი (მესტია) დაამარცხა. გაიმარჯვეს, აგრეთვე, გ. კუთარაშვილმა (გორის რაიონი) თ. ფერაძესთან (რუსთავი), ლ. ზაიდშერმა (სოხუმი) ტ. ლემონჯავასთან (ჩხოროწყუ), ო. ბენდელიანმა (ზუგდიდი) ო. კობახიძესთან (ტყიბული).

პირველი მარცხი იწვნია ახალციხელმა ბ. გოგოლაძემ (მას მოუგო თბილისელმა დ. გედევანიშვილმა), ხოლო პირველი გამარჯვება იზეიმა ქუთაისელმა ა. მიქაბერიძემ, რომელმაც ლ. ქუხილავას (წალენჯიხა) სძლია. ს. კიკილაშვილი (ლაგოდეხი) — გ. შოგირაძის (ზუგდიდი) შეხვედრა ყაიმით დამთავრდა.

4 ტურის შემდეგ ლიდერობს რაზოვსკი — 4 ქულა. ნეურონოვს 3 ქულა და 1 გამოტოვებული პარტია აქვს, კუთარაშვილს, ბადალიანს, გედევანიშვილს და კიკილაშვილს — 3-3 ქულა.

«ეკიპის» აზრით

საქვეყნოდ ცნობილმა სპორტულმა გაზეთმა „ეკიპმა“ (პარიზი) გამოაქვეყნა მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელთა ათეულების სია 1969 წლის სეზონის შედეგების მიხედვით.

ვაჟები: 1. რ. ლეივერი, 2. ტ. რონე, 3. ჯ. ნიუკომბი (სამივე — ავსტრალია), 4. ტ. ოკერი (ჰოლანდია), 5. კ. როზუელი (ავსტრალია), 6. ა. ეში (აშშ), 7. ა. გიმენო (ესპანეთი), 8. ფ. სტოლე, 9. რ. ეშერსონი (ორივე — ავსტრალია) და კ. დრისდეილი (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა), 10. ჯ. გონზალესი (აშშ).

ქალები: 1. მ. კურტი (ავსტრალია), 2. ა. ჰეიდონ-ჯონსი (ინგლისი), 3. ბ.-ჟ. კინგი, 4. ნ. რიჩი, 5. ჟ. ჰელდმანი, 6. რ. კაზალსი (ყველა — აშშ), 7. კ. მელვილი (ავსტრალია), 8. ვ. უეიდი (ინგლისი), 9. ლ. ბოუერი, 10. ჯ. ტეგარტი (ორივე — ავსტრალია).

ჩოგბურთი

ტარტანის მინდორზე

ჯანდი ვაგნერის სპეციალური

ამ ცოტა ხნის წინ ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარდა საჩვენებელი მატჩი ტარტანის მინდორზე. ერთმანეთს შეხვდნენ ინგლისის კლუბი „ვესტ ჰემ იუნაიტედი“ და შოტლანდიის „დენდი“. თამაში, რომელიც ქალაქ პორტლენდის (ორეგონის შტატი) სტადიონზე გაიმართა, დამთავრდა უჩვეულო ანგარიშით — 8:2 ინგლისელების სასარგებლოდ. შეხვედრა ყველას მოეწონა — მსაჯებსაც, მწვრთნელებსაც, ფეხბურთელებსაც და მაყურებლებსაც.

ტემპი თავიდან ბოლომდე სწრაფი იყო. მძაფრ ბრძოლაში იგრძნობოდა ინგლისელების უპირატესობა. ისინი მთავარ როლს ანიჭებდნენ ტექნიკას და ტაქტიკურ აზროვნებას, შოტლანდიელები კი ძალისმიერ თამაშსა და ამტანობას.

მიუხედავად მაღალი ტემპისა, როგორც თავად თქვეს, მსაჯებს მუშაობა არ უჭირდათ. თამაში აქ გაცილებით უფრო კორექტული იყო, ვიდრე ჩვეულებრივ ბალახისსაფარიან მინდვრებზე. მოვუსმინოთ თვით მატჩის მონაწილეებს.

ბობი მური, „ვესტ ჰემ იუნაიტედისა“ და ინგლისის ნაკრების კაპიტანი: „ტარტანზე ყველა უკეთ თამაშობს. განსაკუთრებით გამოირჩევიან ტექნიკური ფეხბურთელები. თუ მაყურებელს სურს მართლაც ლამაზი ფეხბურთი ნახოს, ასეთ მატჩებს უნდა დაესწროს. კლიმატური პირობები ტარტანის საფარზე ბევრად ნაკლებ გავლენას ახდენს. აქ ხელად გამოჩნდება, ძალისმიერი მოთამაშე ხარ თუ ტექნიკური. მე მხარს ვუჭერ ტარტანს და ბედნიერი ვიქნები, თუ ასეთივე ექსპერიმენტს ჩვენში, ინგლისშიც ჩაატარებენ“.

ამავე შეხედულებას იზიარებს მურის თანაკლუბელი, 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი ჯეფ პერსტი: „ეს იყო საუკეთესო თამაში ჩემს ცხოვრებაში. არასდროს ასე იოლად არ გამომსვლია ტექნიკური ილეთები, ასე მსუბუქად, თავისუფლად არ მირბენია. ვფიქრობ, ყველა ჩემი ამხანაგიც ამავე აზრისაა“.

„დიახ, — ამბობს ინგლისის ნაკრების კიდევ ერთი მოთამაშე მარტინ პიტერსი. — აქ იდეალური პირობებია შექმნილი თამაშისთვის“.

მაშ ასე, სამმა ფეხბურთელმა, სამმა მსოფლიო ჩემპიონმა მხარი დაუჭირა საინტერესო ექსპერიმენტს. შესაძლოა მომავალმა დაამტკიცოს ამ შეფასებათა სისწორე. ახლა სიტყვა სპეციალისტებს ეკუთვნით.

«სუპერ-თასი» — «პენიაროლს»

ბუენოს-აირესში მოეწყო ეგრეთ წოდებული „ჩემპიონთა სუპერ-თასის“ გათამაშება. მასში მონაწილეობდნენ ის გუნდები, რომლებსაც სხვადასხვა დროს ეპყრათ სამხრეთ ამერიკის ჩემპიონთა თასი — „კოპა ლიბერტადორესი“, შეჯიბრებაში ჩაებნენ „პენიაროლი“ (ურუგვაი), „სანტოსი“ (ბრაზილია), „ესტუდიანტესი“ (არგენტინა) და „რესინგი“ (არგენტინა). გუნდები ორ-ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს.

„სუპერ-თასი“ დარჩა „პენიაროლს“, რომელმაც 9 ქულა მოაგროვა. გადამწყვეტ მატჩში ურუგვაელებმა სძლიეს „ესტუდიანტესს“ (2:1) და ამის შედეგად 1 ქულით გაუსწრეს „რესინგს“. ძალზე წარუმატებლად გამოვიდნენ „ესტუდიანტესი“ (3 ქულა) და „სანტოსი“ (2 ქულა).

● ●

მტროგა დაივიწყეს

იტალიის „მილანისა“ და არგენტინის „ესტუდიანტესის“ კლუბების ხელმძღვანელებმა ერთმანეთს შორის გაცვალეს წერილები, რომლებიც აღსავსეა ურთიერთ ქათინაურებით. ისინი იუწყებიან, რომ მათ შორის აღდგება მეგობრული ურთიერთობა. გავიხსენოთ, რომ „მილანისა“ და „ესტუდიანტესის“ გუნდები ერთმანეთს ორჯერ შეხვდნენ საკონტინენტთაშორისო თასზე. პირველ მატჩი მილანში ასე თუ ისე სპორტულად ჩატარდა, საპასუხო შეხვედრა ბუენოს-აირესში კი „ანტიფეხბურთის“ აშკარა დემონსტრაცია იყო.

● ●

«მიტროპის თასზე»

ვენაში ჩატარდა „მიტროპის თასის“ მონაწილე გუნდების მეოთხედფინალური შეხვედრათა კენჭისყრა.

ერთმანეთს ხვდებიან: პრაღის „სლავია“ — სპლიტის „ჰაიდუკი“, კრაგუევაცის „რადნიჩკი“ (იუგოსლავია) — ბუდაპეშტის „ჰონვედი“, პრაღის „ბოჰემიანსი“ ან ვენის „ადმირა ენერგი“ (მათ კიდევ მოელით შეხვედრა) — ბუდაპეშტის „ვაშაში“, ინსბრუკის „ვაკერი“ — ბრატისლავის „ინტერი“ ან ვენის „ვიენა“.

ტაიგერმა დააგრუნა ორდენი

ამ ცოტა ხნის წინ ბითლზების ცნობილი კვარტეტის ერთ-ერთმა წევრმა ჯ. ლენონმა მკაცრად გააკრიტიკა ბრიტანეთის მთავრობის რეაქციული პოლიტიკა ნიგერიაში. ლენონს მხარი დაუჭირა ცნობილმა პროფესიონალმა მოკრივემ, მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა საშუალო და ქვემძიმე წონებში დ. ტაიგერმა. მან ინგლისის ელჩს შეერთებულ შტატებში დაუბრუნა ბრიტანეთის იმპერიის ორდენი, რომელსაც წლების მანძილზე დიდი სიყვარულით ატარებდა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

სპორტი და რისკი

ეს სურათები უცხოური სპორტის რამდენიმე პატარა ეპიზოდს ასახავენ. შეჯიბრების სანახავად მოსულ მაყურებელს მარტო საბოლოო შედეგები როდი აინტერესებს. მას იზიდავს აზარტი, ახპარეზობის ფინი, დიდი რისკი, როცა ბრძოლის ეშხში შესული სპორტსმენი ბევრჯერ საკუთარ სიცოცხლეს აგდებს საფრთხეში.

ეს სპორტსმენები იოლად გადარჩნენ. მარჯვნივ თქვენ ხედავთ დეიტონა ბიჩში (ფლორიდა) გამართული საერთაშორისო შეჯიბრების მომენტს. სან-ბრუნოდან (კალიფორნია) ჩამოსული მოტოციკლისტი მარკ ბრელსფორდი რბოლის დროს უეცრად ჰაერში

ავარდა თავისი მანქანით, მაგრამ მხოლოდ ოდნავ დაშავდა.

ქვევით, მარცხნივ, ცხენოსანთა ტურნირის ერთი მომენტია აღბეჭდილი. შელტენჰემში (ინგლისი) მოეწყო ყოველწლიური შეჯიბრება დაბრკოლებათა ზოლის გადალახვაში. დედოფლის დედის ელიზაბეტის ცხენი „ჩაოუ II“, რომლითაც დევიდ მოლდი გამოდიოდა, ერთ-ერთ წინაღობაზე გადახტომის დროს წაიქცა და უეცრად ცხვირზე შემდგარი აღმოჩნდა. მხედარიც და ცხენიც გადარჩნენ.

მესამე სურათი მარათონული (12-საათიანი) ავტორბოლის დროსაა გადაღებული იტალიაში. ნანი გალი (პრატო) ნაპირისკენ იწევს გასაჩერებლად, რადგან მის მანქანას მარცხენა უკანა თვალი მოსძვრა და ბილიკზე გაგორდა. აქაც ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა: მანქანა შეაკეთეს და მრბოლელმა ახპარეზობა განაგრძო.





28 იანვარს

ყრუ-მუნჯთა საზოგადოების კულტურის სახლის შენობაში (მაიაკოვსკის ქ. № 6, „დინამოს“ სტადიონის მახლობლად), შედგება თბილისის ფეხბურთის ფედერაციის ანგარიშგება-არჩევნები.

დასაწყისი 18 საათზე. დელეგატთა რეგისტრაცია იწარმოებს 17 საათიდან.

ფეხბურთის მწვრთნელების, გუნდების წარმომადგენელთა და მსაჯთა დასწრება სავალდებულოა.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14 8 უე 03634